

## ლექცია 13

### ენობრივი და საგნობრივი კომპონენტების შეფასება ინტეგრირებულ გაკვეთილზე

#### *შემაჯამებელი / საბოლოო შეფასება*

შემაჯამებელი შეფასება გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტებით ინდივიდის ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად (კითხვა, გრამატიკა, მართლწერა და ა.შ.). აღნიშნული ტესტები გამოიყენება სკოლაში ოთხი ენობრივი უნარის გასაზომად. უმცირესობათა შემთხვევაში იზომება როგორც სახელმწიფო ენაში აგრეთვე უმცირესობათა ენაში ენობრივი კომპეტენციები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გავრცელებულია უმცირესობათა მოსწავლეების ინგლისური ენის კომპეტენციების შემოწმებელი ტესტები. ენობრივი კომპეტენციების დონის შეჯამება ხდება სემესტრის ან სასწავლო წლის დასრულებისას.

ენის ფლობის ტესტების შედეგად აგრეთვე ხდება პიროვნების მეორე ენის კომპეტენციების ან ზოგადად ენობრივი კომპეტენციების შემოწმება. შესაძლებელია შემოწმდეს ორ ენას შორის შედარებითი დომინანტობა ბილინგვალში, ისევე, როგორც ორი ენის შერევა ინდივიდის მიერ (ამ პროცესს `ჩარევასაც` უწოდებენ და დაწვრილებით განხილული იქნება მე-5 და მე-6 თავებში). აღნიშნული ტესტები აგრეთვე ნათელ წარმოდგენას ქმნიან ბილინგვალის იმ მახასიათებლებზე, რითაც ისინი განსხვავდებიან მეორე ენის შემსწავლელისგან და მხოლოდ მშობლიური ენის განვითარებისკენ მომართული მოსწავლეებისგან. შემაჯამებელი გაზომვის მაგალითები მოყვანილი იქნება ცოტა ქვემოთ, წიგნის ამავე თავში.

#### **მიმდინარე (ფორმატიული) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასების გარდა, ძალიან ხშირად გამოიყენება მიმდინარე (ფორმატიული) შეფასება, რომელიც ხელს უწყობს უკუკავშირის სწავლების პროცესში და ეხმარება მასწავლებელს თუ სკოლას, შეფასების შესაბამისად გააგრძელოს მოსწავლესთან მუშაობა. მიმდინარე შეფასება ადგენს იმ სისუსტეებს, რაც მოსწავლეებს გააჩნიათ ენობრივი უნარების თვალსაზრისით და ამის შემდგომ ხდება ადეკვატური ინტერვენცია, რათა წარმოჩენილი ხარვეზები გამოსწორდეს და მოსწავლეს განუვითარდეს შესაბამისი ენობრივი უნარები. შეიძლება ითქვას, რომ შუალედური შეფასება იძლევა პრობლემის დიაგნოზირების საშუალებას და პრობლემის აღმოფხვრისკენ ძალისხმევის მიმართვა ხდება შესაძლებელი. ბილინგვალის შეფასება განხილულია მე-15 თავში.

## ბილინგვალეზის შეფასება სკოლაში

კრიტერიუმებზე დაფუძნებული ენობრივი ტესტები: სასწავლო გეგმის შესაბამისი მიდგომა ენობრივ ტესტებში

ამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ნორმაზე დაფუძნებული ტესტებიდან კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ტესტირების სისტემისკენ გადასვლის ტენდენცია, რაც განპირობებულია ენის სწავლების კომუნიკაციური უნარების განვითარების მიდგომის, სასწავლო გეგმის ამოცანებითა და ენის დაუფლების ახალი მიმართულებებით. საინტერესოა რა განსხვავება ნორმაზე დაფუძნებული ტესტირებასა და კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ტესტირებას შორის?

ენის სრულყოფილად ცოდნა იზომება ძირითადად ორი ტიპის ტესტების მეშვეობით. პირველი გახლავთ ნორმაზე დაფუძნებული ტესტები, რომლებსაც შემაჯამებელი / საბოლოო შეფასებისას იყენებენ და მეორე გახლავთ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც მიმდინარე (ფორმატული) ტიპის შეფასებას განეკუთვნება. სტანდარტული, ნორმაზე დაფუძნებული ტესტირების მიზანია, ერთი ინდივიდის მიღწევები შეადაროს სხვა პიროვნების მაჩვენებლებთან. მაგალითად, კითხვის უნარებში ჩატარებული ნორმაზე დაფუძნებული ტესტი შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, შეადაროს თავისი მოსწავლის შედეგები ქვეყნის მასშტაბით არსებულ მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებელს.

კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტირება კი მიზნად არ ისახავს მოსწავლეთა შედეგების ურთიერთშედარებას. მისი მიზანია, მოსწავლის უნარები შეაფასოს სხვადასხვა თვალსაზრისით, დაწესებულ სტანდარტთან მიმართებით. პარალელის გავლება შეიძლება მანქანის ტარების გამოცდასთან. გამოცდაზე მოწმდება, თუ რამდენად ახერხებს პიროვნება უკუსვლით კუთხეში შესვლას, აღმართზე მანქანის დაძვრას, ზიგზაგურ მოხვევას. მართვის მოწმობის აღებას შეძლებ, თუ ყველა ამ უნარს ფლობ, რაც მანქანის მართვისთვისაა საჭირო, ხოლო ამას როგორ აკეთებ სხვა მძღოლებთან შედარებით – სულაც არ არის მნიშვნელოვანი. ინდივიდის მიერ უნარის ფლობა არის კრიტერიუმი გამოცდის ჩასაბარებლად და არა მიმართება სხვა ინდივიდებთან.

რა თქმა უნდა, მანქანის მართვისათვის კრიტერიუმების დაწესება გაცილებით მარტივია, ვიდრე ენის ფლობის კრიტერიუმების განსაზღვრა და მანქანის ანალოგია არაადეკვატურია. განხილული ენობრივი უნარების გარდა, არსებობს ენის ძალიან ბევრი ხარისხობრივი ასპექტი, რომელთა შეფასება ტესტირების გზით, ფაქტობრივად, შეუძლებელია (მაგალითად, ემოციური, ენის პოეტური ფუნქცია და ა.შ).

ბილინგვალეზის შემთხვევაში, კრიტერიუმზე დაფუძნებულ ტესტირებას აქვს უპირატესობა ნორმაზე დაფუძნებულ ტესტირებასთან მიმართებით, რადგან ის არ იყენებს შედარების პრინციპს. ნორმაზე დაფუძნებული ტესტირებისას შესაძლებელია ბილინგვალის შედარება მოხდეს მონოლინგვალთან. ამ შემთხვევაში ნორმად განისაზღვრება მშობლიურ ენაზე მოსაუბრე, რაც,

არაერთი მეცნიერის აზრით, უსამართლო და არავალიდურია (ფრედერიქსონი და კლინე, 1996, კუკი, 2002, გროსიენი 1985, 1994).

კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტირებისას კი მოწმდება მოსწავლის უნარები დაწესებულ სტანდარტთან მიმართებით და, შესაბამისად, თითქოს გამოირიცხება უსამართლო შედარება ბილინგვალსა და მონოლინგვალს შორის, თუმცა, პრაქტიკულად, კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტების შედეგების გამოყენებაც შეიძლება მოხდეს შედარებისთვის (მაგალითად, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა და ბილინგვალეების მაჩვენებლების შედარება, სხვადასხვა ასაკისა და სკოლის მოსწავლეთა მაჩვენებლების შედარება).

### **ტერმინთა განმარტება:**

- **ენობრივი უნარ-ჩვევები** მოიცავს საკმაოდ სპეციფიკურ, ნათელ და მკაფიოდ განმარტებულ კომპონენტებს. ენობრივი უნარ\_ჩვევის მაგალითია ხელნაწერი.
- **ენობრივი კომპეტენცია** საკმაოდ ზოგადი და ფართო ტერმინია, რომელიც გამოიყენება ენის შინაგანი და მენტალური გამოხატულების აღსაწერად.
- **ენობრივი პერფორმანსი** წარმოადგენს ენობრივი კომპეტენციის გარეგნულ გამოხატულებას.
- **ენობრივი უნარი** და **ენის მაღალკვალიფიციური ფლობა** იხმარება როგორც ზოგადი `ქოლგა` ტერმინები და შესაბამისად ძალიან ხშირად მათი მნიშვნელობა ბუნდოვანია. ზოგიერთი თვლის, რომ ენობრივი უნარი გახლავთ ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ენის საბოლოოდ წარმატებულად დაუფლებას. ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ენობრივი უნარი არის შედეგი (თუმცა არა ისეთი სპეციფიკური როგორც ენობრივი უნარ\_ჩვევა), რომელიც მიუთითებს ენის ფლობის კონკრეტულ დონეს. ანალოგიურად ენის მაღალკვალიფიციურად ფლობა ზოგჯერ გამოიყენება, როგორც ენობრივი კომპეტენციის სინონიმი (მაგალითად, ელისი, 1985), თუმცა ზოგი ავტორი და მკვლევარი ენის მაღალკვალიფიციურად ფლობას განმარტავს, როგორც ენის ცოდნის ტესტირების შედეგად დადგენილ გაზომვად და სპეციფიკურ შედეგს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივი უნარი, ისევე, როგორც ენის ფლობა, მკვეთრად განსხვავდება ენობრივი მიღწევებისგან.
- **ენობრივი მიღწევები** გამოიყენება ფორმალური სწავლებისას მიღწეული შედეგის აღსანიშნავად, ხოლო ენის მაღალკვალიფიციურად ფლობა თუ ენობრივი უნარი მიიღწევა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლების შედეგად.

კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტირება შუალედურ შეფასებას განეკუთვნება და მისი ერთ-ერთი უპირატესობაც ეს გახლავთ. ის არის საუკეთესო ინსტრუმენტი იმის გამოსავლენად, თუ

ენობრივი უნარების რა მიმართულებით აქვს მოსწავლეს გარკვეული პრობლემები და მასწავლებელს ეძლევა საშუალება, მოახდინოს რეაგირება ამ პრობლემების გამოსასწორებლად.

პირველი დონის უნარის შეფასებისთვის გამოიყენება მარტივი დავალებები (მაგალითად, შეკითხვები რესტორნის მენიუს შესახებ). ამ ტიპის დავალებების შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან კლასში ჩატარებული ტესტირებისგან განსხვავებით, სადაც მოწმდება, თუ რა არ იცის მოსწავლემ, ეს დავალებები ამოწმებს, თუ რა იცის ენის შემსწავლელმა. კომუნიკაციური უნარი, ცოდნა და გაგება არის მთავარი ფაქტორი და არა ნიშნები და პროცენტები. კომპეტენციაა ხაზგასმული და არა შეცდომები და ნაკლოვანებები. ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეს აფასებს ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით და არა სხვა მოსწავლის შედეგებთან მიმართებით. ეს დავალებებიც ფორმატიული ხასიათისაა და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სასწავლო პროცესი დაეგმოს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტესტირება, როგორც ერთადერთი კრიტერიუმი, უკვე ძალიან იშვიათად გვხვდება (კარასქვილო და როდრიგესი, 2002) და შეფასება ხდება მრავალ კრიტერიუმზე დაფუძნებით. გამოიყენება არა მხოლოდ შეფასების სტრუქტურირებული მიდგომა (მაგალითად, ტესტები, საკონტროლო ფურცლები) არამედ მოსწავლის პორტფოლიო (დავალებები, ჟურნალები) და მასწავლებლის სასწავლო პროცესში მოსწავლეზე დაკვირვება.

### ენის ფლობის თვითშეფასების სკალა

მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები ენის ფლობის თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის მოსწავლეების მიერ ენის ფლობის თვითშეფასების შესახებ:

შეგიძლია გაგება:

ინგლისურად? ესპანურად?

დიახ - სრულყოფილად

დიახ - საკმაოდ კარგად

დიახ - ცოტა

დიახ - სულ ცოტა

არა - ჯერ არა

შეგიძლია ლაპარაკი:

ინგლისურად? ესპანურად?

დიახ - სრულყოფილად

დიახ - საკმაოდ კარგად

დიახ - ცოტა

დიახ - სულ ცოტა

არა - ჯერ არა

შეგიძლია გაგება:

ინგლისურად? ესპანურად?

დიახ - სრულყოფილად

დიახ - საკმაოდ კარგად

შეგიძლია ლაპარაკი:

ინგლისურად? ესპანურად?

დიახ - სრულყოფილად

დიახ - საკმაოდ კარგად

დიახ - ცოტა

დიახ - ცოტა

დიახ - სულ ცოტა

დიახ - სულ ცოტა

არა - ჯერ არა

არა - ჯერ არა

### **კომუნიკაციური ენის ტესტირება**

ბილინგვალების ენობრივი კომპეტენციის შესაფასებლად მხოლოდ ტესტირება ენობრივ უნარებში არ მოგვცემს სანდო სურათს (მაკკინი და პრისტლი, 2004). აკადემიური ენის შესამოწმებლად გამოიყენება დახურული ტესტების, კითხვის უნარის, მართლწერის ტესტები და კარნახი. თუმცა, ენობრივი კომპეტენციის გასარკვევად, ენობრივი უნარების შემოწმება იგივეა, რაც მიქელანჯელოს შემოქმედება მხოლოდ მის ნახატებში არსებული ფერთა გამით რომ შევაფასოთ.

ტესტირების პარალელურად, ინტერვიუების და თხრობის მეთოდი გამოიყენება ლაპარაკის კომპეტენციის შესამოწმებლად (მაკკინი და პრისტლი, 2004). ტესტირების კიდევ ერთი უკიდურესი ალტერნატივაა ბილინგვალების ორივე ენაში შემოწმება რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში. ბილინგვალების შეფასება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ვითარებაში (მაღაზიაში, სახლში, სამსახურში დასვენების და განტვირთვის დროს) თითქოს იდეალური გამოსავალია ბილინგვალის ორ ენაში კომპეტენციის დასადგენად. თუმცა, ეს მიდგომაც საკმაოდ რთული განსახორციელებელია, რადგან მოითხოვს დიდ დროს და, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ რეალურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში მკვლევარის ყოფნა ცვლის სიტუაციას ინდივიდის პრივატულობის თვალსაზრისით და შესაძლებელია, ვერ მოგვცეს რეალური სურათი.

ბილინგვალების მხოლოდ ტესტირებისა და აკადემიური კუთხით შეფასება არასწორია, რადგან სასწავლო პროცესი წარმოადგენს მხოლოდ ერთ კონტექსტს და სხვა კონტექსტში ინდივიდის ენობრივი კომპეტენცია არ მჟღავნდება. რეალისტური და წარმომადგენლობითი მონაცემების მისაღებად მნიშვნელოვანია კლასის გარეთ არსებული საყოფაცხოვრებო კონტექსტში ინდივიდის ენობრივი კომპეტენციის შემოწმებაც.

### **ენობრივი ტესტირების პოლიტიკური ხედვა**

ენობრივი ტესტირება არ გახლავთ ნეიტრალური პროცესი. ტესტირება არის მექანიზმი სასწავლო გეგმის განხორციელების გასაკონტროლებლად და, შესაბამისად, ხშირად სწავლება ხდება მხოლოდ ტესტისთვის. ენობრივი ტესტების მიღმა ხშირად არის გარკვეული მოტივები, იდეოლოგიური ფუნქციები და პოლიტიკური საკითხებიც კი. ენობრივი ტესტირება ხშირად ენობრივი პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენს (შოამი, 2001).

ენობრივი ტესტირება შეხებაშია სოციალურ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და იდეოლოგიურ საკითხებთან, რაც განსაზღვრავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცხოვრებას. შესაბამისად, ენობრივი ტესტები არის სხვადასხვა იდეოლოგიურ მიმდინარეობებს შორის არსებული

კულტურული, საგანმანათლებლო და პოლიტიკური დებატების ნაწილი. შესაბამისად, ალანა შოამს (1997, 2001) შემოაქვს ტერმინი `ენის კრიტიკული ტესტირება` და მიიჩნევს, რომ ტესტის ჩამბარებლები არიან პოლიტიკური პროცესის სუბიექტები. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული შეფასების სისტემა (იხილეთ მეცხრე თავი).

“ენის კრიტიკული ტესტირების` მიდგომამ წამოწია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, ისეთები, როგორიცაა: ვის ღია თუ ფარულ ინტერესებს შეიძლება ემსახურობოდეს ტესტირების შედეგები? საჭიროა ტესტირების შედეგები იმისთვის, რომ შემოწმდეს სასწავლო გეგმით დასახული ამოცანების მიღწევის საკითხი, თუ რაიმე სხვა ფარული მიზნები და მანიპულაციებიცაა? ტესტირების შედეგები აბსოლუტური და საბოლოოა თუ შესაძლებელია მათი ინტერპრეტირება. ენის კრიტიკული ტესტირების მიდგომამ გააფართოვა კვლევების მიმართულებები და ამ საკითხის განხილვას შესძინა სოციალური და პოლიტიკური დატვირთვაც.

### ბილინგვიზმის შეფასების მაგალითები

ბილინგვალების გასაზომი უამრავი ინსტრუმენტი არსებობს და ყველას განხილვა შეუძლებელია, ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკითხების გააზრება.

### ენობრივი ფონის სკალა

ენობრივი ფონის ან ფუნქციური ბილინგვიზმის სკალა წარმოადგენს თვით-შეფასების ინსტრუმენტს და აფასებს ორი ენის ფაქტობრივ გამოყენებას და არა მათი ფლობის უნარს.

ქვემოთ გთავაზობთ სკოლის მოსწავლეთა ენობრივი ფონის (ბექგრაუნდის) სკალის მაგალითს (ბეიკერის 1992 წლის გამოცემაში წარმოდგენილი სკალის ადაპტირებული ვერსია).

ქვემოთ წარმოდგენილია შეკითხვები იმ ენის შესახებ, რომლითაც ელაპარაკებით სხვა ადამიანებს ან სხვა ადამიანები გელაპარაკებიან თქვენ. გთხოვთ უპასუხოთ რაც შეიძლება გულწრფელად. მცდარი და სწორი პასუხი არ არსებობს, დატოვეთ უჯრა ცარიელი, თუ შეკითხვა არ არის შესაბამისი თქვენთვის.

რა ენაზე ელაპარაკებით თქვენ ამ ადამიანებს? აირჩიეთ ერთ-ერთი პასუხი.

	ყოველთვის ესპანურად	ესპანურად უფრო ხშირად, ვიდრე ინგლისურად	ესპანურად და ინგლისურად თანაბრად	ინგლისურად უფრო ხშირად, ვიდრე ესპანურად	ყოველთვის ინგლისურად
მამას					
დედას					
და-ძმას					
მეგობრებს					

კლასში					
მეგობრებს სათამაშო მოედანზე					
მასწავლებლებს					
მეზობლებს					
ბებია-ბაბუას					
სხვა ნათესავებს					
სკოლის გარეთ მეგობრებს					

რა ენაზე გელაპარაკებიან თქვენ ეს ადამიანები? აირჩიეთ ერთ-ერთი პასუხი.					
	ყოველთვის ესპანურად	ესპანურად უფრო ხშირად, ვიდრე ინგლისურად	ესპანურად და ინგლისურად თანაბრად	ინგლისურად უფრო ხშირად, ვიდრე ესპანურად	ყოველთვის ინგლისურად
მამა					
დედა					
და-ძმა					
მეგობრები კლასში					
მეგობრები სათამაშო მოედანზე					
მასწავლებლები					
მეზობლები					
ბებია-ბაბუა					
სხვა ნათესავები					
სკოლის გარეთ მეგობრები					

ამ სიტუაციებში რომელ ენას იყენებთ?					
	ყოველთვის ესპანურს	ესპანურს უფრო ხშირად, ვიდრე ინგლისურს	ესპანურს და ინგლისურს თანაბრად	ინგლისურს უფრო ხშირად, ვიდრე ესპანურს	ყოველთვის ინგლისურს
ტელევიზორის / ვიდეოს ყურებისას					
რელიგიური ცერემონიის და / ან რიტუალის დროს					
გაზეთის / კომიქსის გაცნობისას					
ჩანაწერების, კომპაქტ-დისკის / კასეტების მოსმენისას					
რადიოს მოსმენისას					
მალაზიაში ვაჭრობისას					
სპორტის რომელიმე სახეობის თამაშისას					
ტელეფონზე					
წიგნების კითხვისას					
ფულის შოვნისას					
კლუბებში / საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში					
გართობისა და დასვენებისას/ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისას					

**ენობრივი ბალანსისა და დომინირების გაზომვა**

სხვადასხვა ტესტის მეშვეობით დგინდება ბილინგვალეებში ორ ენას შორის არსებული ბალანსი და რომელიმე ენის დომინირების საკითხები. აღნიშნული ტესტირების შედეგები

გამოიყენება როგორც მკვლევართა მიერ, აგრეთვე მნიშვნელოვანია ამერიკის საგანმანათლებლო სისტემისთვისაც, რადგანაც სწავლების ენა უმცირესობათა ბავშვებისთვის ხშირად დომინანტი ენაა, შესაბამისად, დომინანტი ენის გაზომვის მექანიზმები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შესაძლებელია გაკეთდეს ინგლისური და ესპანური ენის ფლობის ტესტის მეშვეობით. ქვემოთ გთავაზობთ ფსიქომეტრული ტესტის 5 მაგალითს:

- ✓ სიტყვის ასოციაციის დავალებაზე რეაგირების სისწრაფე - ამ დავალების მიზანია დაადგინოს, თუ რომელ ენაზე უფრო სწრაფად ახდენს რეაგირებას ინდივიდი, ანუ თუ დავალებაა სიტყვა „სახლი“, გაიზომება სახლთან დაკავშირებულ ასოციაციას რომელ ენაზე უფრო სწრაფად წარმოადგენს. თუმცა მნიშვნელოვანია ერთი დეტალი, ენის დომინირება არ ნიშნავს ენობრივ კომპეტენციას. ანუ სიტყვის ასოციაცია შესაძლებელია ერთ ენაზე უფრო სწრაფად მოახდინოს ინდივიდმა, თუმცა ენობრივი კომპეტენცია ორივე ენაში მაღალი ან პირიქით – დაბალი ჰქონდეს. ამასთანავე, ზოგიერთ კულტურაში სიზუსტე არის უფრო ღირებული ვიდრე სისწრაფე და, შესაბამისად, აღნიშნული ტესტის გამოყენება შეიძლება კულტურულად მიკერძოებული აღმოჩნდეს;
- ✓ სიტყვის ასოციაციის დავალებაზე რეაგირების რაოდენობა - ამ შემთხვევაში იზომება, თუ ბილინგვალური რომელ ენაზე რამდენ ასოციაციას წარმოადგენს ერთი წუთის განმავლობაში, ერთ კონკრეტულ სიტყვაზე. (მაგალითად სიტყვა „ფერი“). დაახლოებით თანაბარი სიტყვების რაოდენობა მიუთითებს, რომ არსებობს ბალანსი ამ ორ ენას შორის.
- ✓ სიტყვების ამოცნობა ორივე ენაზე - გაურკვეველი სიტყვიდან ხდება ორივე ენაზე სიტყვების შედგენა. ასოები გაურკვეველ სიტყვაში თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი ორივე ენიდან. ამ დავალების განხორციელება არც ისე ადვილია, რადგან დამოკიდებულია ორი ენის ანბანის მსგავსებაზე;
- ✓ წასაკითხად საჭირო დრო - წარმოდგენილია სიტყვების ჯგუფი ორივე ენაზე და იზომება, რომელ ენაზე უფრო სწრაფად წაიკითხავს ტექსტს.
- ✓ შერევის რაოდენობა - აღნიშნავს ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლის ინტენსივობას, ან ერთი ენიდან მეორე ენაზე სიტყვების გამოყენებას აზრის ჩამოსაყალიბებლად.

აღნიშნული ტესტირების მთავარი პრობლემაა, რომ ის ასახავს მხოლოდ ენის ფლობის წარმოდგენით ნაწილს და არა სრულად ენობრივ უნარს და ენის გამოყენებას. ამა თუ იმ ენის დომინირება განსხვავებული იქნება დროსა და სივრცეში. შესაძლებელია, ორი ენის თანაბრად ფლობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ენა მაინც დომინანტური იყოს. ენის პროცესის სისწრაფე იძლევა სურათს უფრო მეტად ენათა შორის არსებული ბალანსის შესახებ და არა რომელიმე

ენის დომინირების შესახებ და აღსანიშნავია, რომ ეს ბალანსიც იცვლება სხვადასხვა სოციოკულტურულ კონტექსტში და დროთა განმავლობაში (ვალდესი და ფიგუერა, 1994).

### **დასკვნა**

როგორც მხოლოდ კატეგორიზაცია ვერ ასახავს ბილინგვიზმის სრულ სურათს, ისე ბილინგვიზმის გაზომვისა და შეფასების მცდელობაც წარუმატებელია სრული სურათის წარმოსაჩენად; როგორც სტატისტიკური მონაცემები ვერ ასახავს ფეხბურთისა და ყინულის ჰოკეის მრავალფეროვნებასა და სილამაზეს, ასევე, ტესტირება ვერ ზომავს სრულყოფილად ბილინგვიზმს.

ენობრივი კომპეტენციის გასაზომად ტესტირების მეთოდები გამოიყენება, რომელიც ორი ტიპისაა: კრიტერიუმზე და ნორმაზე დაფუძნებული. ამ თავში ყურადღება გამახვილდა კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტირების მეთოდზე, რომელიც გამოიყენება როგორც პირველი, აგრეთვე მეორე ენის კომპეტენციების განსასაზღვრად, რომელიც ეფუძნება თეორიულ პრინციპებს და პირდაპირ კავშირშია სწავლასა და სწავლებასთან.

**კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010; (მეორე თავი)**